



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 46

ქ. თბილისი
„28“ 12 2015წ.

CPC- მენეჯერების მოსამზადებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის
ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/584 ბრძანებით დამტკიცებული სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვარის №59 განკარგულებით დამტკიცებული ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის 366-ე დავალების საფუძველზე, 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N1071/2009 რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრის მიერ, აღნიშნული რეგლამენტის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო მენეჯერების მოსამზადებლად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული სილაბუსები თანდართული სახით (დანართები 1-6);
2. სწავლების ხანგრძლივობად განისაზღვროს 120 აკადემიური საათი და განაწილდეს 6 მოდულად;
3. თითოეული საგნის სავალდებულო წერითი გამოცდა განისაზღვროს ორ ნაწილად:
 - ა) წერილობითი კითხვები სამი სავარაუდო პასუხით;
 - ბ) წერილობითი სავარჯიშოები ან პრაქტიკული დავალებები.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტში აღნიშნული გამოცდის თითოეული ნაწილის („ა“ და „ბ“) მინიმალურ გამსვლელ დონედ განისაზღვროს 40 %, ხოლო საერთო ტესტირების მინიმალურ დონედ განისაზღვროს 60 %.

5. გამოცდის დრო თითოეული ნაწილისთვის განისაზღვროს 2 საათით.

6. სწავლება დაიწყოს 15 თებერვლიდან.

7. ყოველი მომდევნო ჯგუფთან სწავლება ჩატარდება მას შემდეგ, რაც მსმენელები გაივლიან რეგისტრაციას საკვალიფიკაცი ცენტრში და გადაიხდიან საფასურს.

8. ჯგუფში მსმნელთა რაოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 9 მაქსიმუმ 15 ადამიანით.

9. სხვა საორგანიზაციო საკითხები, გასაცემი სერტიფიკატის (დიპლომის) ჩათვლით განხორციელდეს IRU-ს მიერ გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მიხეილ ხმალაძე

